საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

პლატფორმის გაფართოებული შეხვედრა

თარიღი: 19 თებერვალი, 2023 წელი

დრო: 17:00 - 19:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
4. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
5. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
6. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
7. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
8. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
9. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
10. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
11. ნინო დოლიძე - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
12. მადონა ხარებავა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ნშობელთა ასოციაცია „დეა“
13. ნინო წულეისკირი - ასოციაცია „ჰერა XXI“
14. სალომე სვანიძე - ქალაქო იდეა - სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული ევროატლანტიკური არჩევანისთვის
15. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მულტიეთნიკური რესურსცენტრი
16. ნატო ბაჩიაშვილი - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
17. შორენა ლორთქიფანიძე - სამოქალაქო საბჭო თავდაცვის და უსაფრთხოების

საკითხებში

18. ლადო მკერვალიშვილი - უფლებები საქართველო
19. მამუკა გვილავა - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები-საქართველო
20. ირმა პავლიაშვილი - ღია სივრცე კავკასია
21. ლია ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
22. ლევან ფანიაშვილი
23. თეონა მაჭარაშვილი - ღია სივრცე კავკასია
24. აკაკი ფანჩულიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები-საქართველო
25. ნაირა ბეპიევა - ა(ა)იპ "კავკასიური მოზაიკა"
26. ალეკო ცქიტიშვილი - ადამიანის უფლებათა ცენტრი
27. ირაკლი ქოჭუა
28. მარი ალუღიშვილი - საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი - სპმთპ
29. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
30. გიორგი ჭილაძე - საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ანალიტიკის ასოციაცია
31. ნატო შავლაყაძე - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი
32. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
33. გივი ქოჩორაძე - კვლევების ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
34. ალა გამახარია - ფონდი სოხუმი
35. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
36. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა
37. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
38. ნანა თოდუა - ასოციაცია მერკური
39. ქრისტინე კილანავა - ასოციაცია ,,იმედი,, დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის
40. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
41. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
42. ნატო ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის
43. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
44. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
45. გიორგი ძამუკაშვილი - ადგილის დედა
46. მერი გვაძაბია - მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია
47. ანდრო ნიკოლაიშვილი - სამანი
48. ნესტან ლონდარიძე - ადამიანის უფლებათა ცენტრი

განსახილველი საკითხები:

1. კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ"

ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფების გაფართოებული შეხვედრა გახსნა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ. მან შეხვედრაში მონაწილე პირებს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მიაწოდა მოკლე ინფორმაცია.

პირველი სამუშაო ჯგუფის გაფართოებულ შეხვედრაში მონაწილეები თავიდანვე შეთანხმდნენ, რომ არ მოხდება ინიცირებული კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ლაშა ტუღუშმა ისაუბრა კანონპროექტის არსსა და შინაარსზე, თუ რას გულისხმობს ეს კანონპროექტი, განმარტა, თუ რატომ არ შეესაბამება ეს კანონი ამერიკული FARA-ს და რა განასხვავებს ამ ორ კანონს ერთმანეთისგან. ასევე მან ისაუბრა უნგრეთის მაგალითზე, სადაც მიიღეს მსგავსი მოდელის კანონი, და მალევე ლუქსენბურგის ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და ბევრი მიზეზის გამო დაამტკიცა, რომ ეს კანონი არ შეესაბამება ევროკავშირის ძირითად და ფუნდამენტურ ღირებულებებს, რის შემდეგაც უნგრეთმა გააუქმა ეს კანონი. შესაბამისად, ევროპულ სივრცეში არ არსებობს მსგავსი კანონი. ეს კანონი მოქმედებს მხოლოდ რუსეთში.

იმ პროცესში, როდესაც ქვეყანა იბრძვის კანდიდატის სტატუსის მისაღებად, პარლამენტში მსგავსი კანონის ინიცირება არის მიზანმიმართულად დამაზიანებელი. მისი განხილვის შემთხვევაც კი შესაძლოა გახდეს საფუძველი ქვეყნისთვის საუკუნეობრივი შანსის გამოყენების გადავადების.

გაფართოებული შეხვედრის ფორმატში, სამუშაო ჯგუფების წარმომადგენლებმა ისაუბრეს უმრავლესობაში შემავალი რამდენიმე დეპუტატის მიერ მომზადებულ კანონპროექტზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ".

შეხვედრაში მონაწილე პირები ცალსახად აფიქსირებდნენ პოზიციებს აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით და აცხადებდნენ, რომ ინიცირებული კანონპროექტი ანტიდემოკრატიულია, ანტიკონსტიტუციურია. ზღუდავს ადამიანის უფლებებს, დისკრინმინაციულია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიის მიმართ. კანონპროექტი სრულად ეწინააღმდეგება ევროპული კანონმდებლობის პრინციპებსა და სულისკვეთებას და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის კონსტიტუციაში დაფიქსირებული ქვეყნის ევრო- ატლანტიკურ არჩევანს. ასევე, მსგავსი კანონის მიღება სერიოზულ დაბრკოლებებს შეუქმნის ქვეყანაში ფინანსური რესურსების შემოდინებას და შეაფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

კანონპროექტი განსაკუთრებით დიდ საფრთხეს უქმნის და ფაქტიურად შეუძლებელს გახდის ევროკავშირის მიერ 12- პუნქტიანი გეგმის მე-10 «სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე» და მე-7 «განახორციელოს უფრო ძლიერი ძალისხმევა თავისუფალი, პროფესიული,

პლურალისტური და დამოუკიდებელი მედია გარემოს უზრუნველსაყოფად» პუნქტების შესრულებას.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ ხვალვე გამოქვეყნდება პლატფორმის განცხადება კანონპროექტთან დაკავშირებით, სადაც გათვალისიწნებული იქნება ყველა გამოთქმული ხედვები და პოზიციები კანონპროექტთან დაკავშირებით. ასევე საკოორდინაციო საბჭო იმსჯელებს სტრატეგიის შემუშავებაზეც.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე